



ვამტკიცებ

ბრძ. N01-35; 03.08.2018წ

შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორი
_____ ი. მანაშერიძე

ცვლილება

შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის
ბრძ. N01-36; 15.08.2018წ;

ცვლილება

დირექტორის ბრძ. N01-04; 8.02.2019 წ

საზოგადოებრივი კოლეჯი

საშუალო¹ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ვებტექნოლოგიები

საკონტაქტო: თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. 8
ელ.ფოსტა: info@inrerbusiness.edu.ge
ტელ: 261 54 23; 260 54 23.

პროგრამის ხელმძღვანელი: ალექსანდრე კეკელიძე; გიორგი წინწალაშვილი

თბილისი

2018 წ.

¹ დირექტორის ბრძ. N01-04; 8.02.2019 წ

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება რომლის საფუძველზეც შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა- ვებტექნოლოგიები - Web Technology
2. სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა : 06114-ს
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში / Secondary Vocational Qualification in Web Technology²

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება“, კოდი 0612, აღმწერი - „შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც“³

4. მიზანი: პროგრამის მიზანია, ვებტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნან ვებგვერდისთვის ვებინტერფეისის როგორც დიზაინი, ასევე - დეველოპინგი (front_ის მხარე).
5. დაშვების წინაპირობა : სრული ზოგადი განათლება
6. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები

ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ვებდეველოპერად, ვებგვერდის მხარდამჭერ სპეციალისტად ან ვებდიზაინერად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62, 62.0, 62.01.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3514

7. სტრუქტურა და მოდულები

„ვებტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 6 ზოგად სავალდებულო მოდულს ჯამური 17 კრედიტის ოდენობით, 9 პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 46 კრედიტის ოდენობით.

ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **63 კრედიტი**.

სწავლის ხანგრძლივობაა 10 სასწავლო თვე (43 კვირა).

² დირექტორის ბრძ. N01-04; 8.02.2019 წ

³ დირექტორის ბრძ. N01-04; 8.02.2019 წ

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით და მოცულობა შეადგენს 93 კრედიტს, სწავლის ხანგრძლივობაა 15 სასწავლო თვე (24+43=67 კვირა);

არაქართულენოვანი პირებისთვის ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება მოხდება ტესტირების საფუძველზე.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4.	სამოქალაქო განათლება	2
5.	მეწარმეობა 2	2
6.	ინგლისური ენა ⁴	5
სულ		17
პროფესიული/დარგობრივი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები	4
2.	ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება	8
3.	გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება	7
4.	დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში	5
5.	ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript	6
6.	ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) გამოყენება	5
7.	ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით	3
8.	ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით	3
9.	ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator)	5
სულ		46

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შექმნას ვებგვერდის მაკეტი და მოარგოს სხვადასხვა მოწყობილობას;

⁴ ცვლილება ბრძ. N01-36; 15.08.2018წ;

- გააფორმოს ვებგვერდის ფონი, შრიფტი და ელემენტები სტილების საშუალებით;
- გადაწყვიტოს მარტივი ამოცანა JavaScript ენის ძირითადი ელემენტებისა და კონსტრუქციების გამოყენებით;
- მოახდინოს JavaScript-ის ბიბლიოთეკების ინტეგრაცია ვებგვერდთან;
- დააინსტალიროს გვერდის მართვის სისტემები (CMS) და ააწყოს ვებგვერდის დიზაინი;
- შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები;
- მოახდინოს გვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით;
- შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები Angular-ის საშუალებით;
- მოამზადოს ვებინტერფეისის გრაფიკული დიზაინი;
- დაამუშავოს ვექტორული გამოსახულება;
- შექმნას ვებგვერდის მულტიმედია კონტენტი;
- შექმნას ფოტომასალა ვებგვერდისთვის.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შპს "ინტერბიზნესის აკადემიის" მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე - ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

⁵ საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული*

⁵ დირექტორის ბრძ. N01-04; 8.02.2019 წ

გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში ფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., შესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირბელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შპს "ინტერბიზნესის აკადემიის" პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული

13. დანართი №1 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი.

14. დანართი N2 -სასწავლო გეგმა;

15. დანართი N 3- ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;

NN	სახელი, გვარი	მოდული, რომელსაც ახორციელებს	კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება	შენიშვნა
1	ლიანა ბინიაშვილი	მეწარმეობა 2;	ფინანსისტ-ეკონომისტი; ინდ. მეწარმე.	
2	გიორგი წინწალაშვილი	ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) გამოყენება; პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები; ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით; ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით	მართვის ავტომატიზირებული სისტემების სპეციალობის ბაკალავრი	
3	ალექსანდრე კეკელიძე	ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება; ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript;	ინჟინერიის დოქტორი	
4	ცოტნე ქორჩილავა	გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება; ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator);	სტუ-კომპიუტერული ინფორმაციული სისტემების მაგისტრანტი; ინფორმატიკის ბაკალავრი;	
5	დავით ბიჭინაშვილი	ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript; ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით; ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით	პროფესიული გამოცდილება; სტუ, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ბაკალავრის მე-4 კურსის სტუდენტი	
6	ანი ტულუში	ინფორმაციული წიგნიერება 1	ელექტრონული ინჟინერი	
7	თინათინ კახიაშვილი	ინგლისური ენა დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში	თარჯიმან-რეფერენტი	
8	სოფიო კაკაურიძე	ინგლისური ენა დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში	განათლების (მართვის) მაგისტრი; ინგლისური ენის ფილოლოგი.	
9	ირინე გეჭაძე	ინგლისური ენა დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში	ინგლისური ენის ფილოლოგი	
10	ელენე კაპანაძე	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირება	
11	ხატია ჭონქაძე	რაოდენობრივი წიგნიერება	მათემატიკის ბაკალავრი	
12	დალი ციხელაშვილი	სამოქალაქო განათლება	იურისტი	
13	ელისო ამყოლაძე	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მასწავლებელი	
14	ლალი გილიგაშვილი	ქართული ენა A2; B1;	ფილოლოგი, ქართული ენისა და	

			ლიტერატურის მასწავლებელი.	
--	--	--	---------------------------	--

16. XVI. მოდულები

(დანართი 4) –მეწარმეობა 2;

(დანართი 5)- ინფორმაციული წიგნიერება 1;

(დანართი 6)- ინგლისური ენა;

(დანართი 7)– ინტერპერსონალური კომუნიკაცია;

(დანართი 8) –რაოდენობრივი წიგნიერება;

(დანართი 9) - სამოქალაქო განათლება;

(დანართი 10)– ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება;

(დანართი 11)- ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator)

(დანართი 12) -ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით;

(დანართი 13)- ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით;

(დანართი 14)– ვებგვერდის მართვის სისტემების(CMS) გამოყენება;

(დანართი 15)- ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript;

(დანართი 16)- დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში;

(დანართი 17)– გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება;

(დანართი 18)- პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები

(დანართი 19) -ქართული ენა A2;

(დანართი 20) -ქართული ენა B1;